სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას თერთმეტი წლის ათ ოქტომბერს, მე, საქართველოს ნოტარიუსს მედეა დემეტრაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№19, მომმართა **შპს "ეკა"-ს დირექტორმა ქ/ნმა პეპელა დადუნაშვილმა (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან მომზადებული: 26/10/2010 09:45:00, ს/№201944931)**, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ქ/ნმა პეპელა დადუნაშვილმა (დაბ: 07.08.1937წ. თბილისში. მცხ. თბილისი, ბახტრიონის ქ. კორპ. I, ბინა №123; პ/№01024045570;)** მომმართა. მე, აგრეთვე, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება. მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს, შემდეგ მას განვუმარტე მინდობილობაზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წაიკითხა **ქ/ნმა პეპელა დადუნაშვილმა** და განაცხადა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, პეპელა დადუნაშვილმა, შპს "ეკა"-ს დირექტორმა ბ/ნ ლუხუმი დიდებაშვილს (დაბადებული: 03.06.1969 წელს, მცხეთაში. მცხოვრები: მცხეთის რ/ნი სოფ. ახალდაბა. პ/№31001023256;)

მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

ბ/ნი ლუხუმი დიდებაშვილი უფლებამოსილია იყოს ჩემი წარმომადგენელი, საგადასახადო ინსპექციაში, ქ. თბილისის მერიაში, გამგეობაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, მიწის მართვის დეპარტამენტში, არქიტექტურის სამსახურში, ყველა კომპეტენტურ ორგანოებში, ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირთან, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება, მოიპოვოს (გამოითხოვოს) ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტები, შეაგროვოს **შპს "ეკა"-ს** (ს/№201944931) სახელზე რიცხული უძრავი ქონების მდებარე მისამართზე: **თბილისი, თამარ მეფის გამზირი №16-ში და თბილისი, თამარ მეფის გამზირი №18-ში** ყოველგვარი დოკუმენტაცია, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები, აიღოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ამასთან დაკავშირებით აწარმოოს კანონით ნებადართული ყველა საჭირო ქმედება, ჩემს მაგივრად მოაწეროს ხელი და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზ/აღნიშნული დავალებების შესრულებასთან. **(უძრავი ქონების აპოთეკით დატვირთვისა და გასხვისების ნებართვის გარეშე)**.

მინდობილობა შედგენილია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება ნოტარიუს მ. დემეტრაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი – გადაეცა მარწმუნებელს.

აღნიშნული მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით და ძალაშია 2012 წლის ათი აპრილის ჩათვლით.

ხელმოწერა: პეპელა დადუნაშვილი

საქართველოს კანონის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის სახელმწიფო ბაჟის შესახებ" 29-ე მუხლის საფუძველზე გადახდილია ნოტარიუსის სახელმწიფო ბაჟი 100.00 ლარი 31[1]-ე მუხლის თანახმად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2ლ.00თ

საქართველოს ნოტარიუსი

მედეა დემეტრაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

11317795001711

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N111099182

რეგისტრაციის თარიღი

10.10.2011 წ

ნოტარიუსი: მედეა დემეტრაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი,ჯ.მარჯანიშვილის ქ. #19
ტელეფონი: (+995)597323 000; (+995 32)296 70 42

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18